მედიასაშუალებების სამართლებრივი რეგულაციები და ასპექტები

ზაზა ცოტნიაშვილი
სტუ-ს ასოც. პროფესორი

ლევან ჟოჟოშვილი
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

მედიასამართლის სუბიექტები ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს: მედია საშუალებებად, რომლებიც წარმოადგენს მედიასამართლის უმთავრეს სუბიექტს და პირებად, რომლებიც არ წარმოადგენენ მედია საშუალებას, მაგრამ სწორედ მათი მეშვეობით აკეთებენ საჯარო განცხადებას, ასაჯაროვებენ კონკრეტული სახის მონაცემებს და სხვ. აღნიშნული მსჯელობა, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული დათქმისგან, რომლის საფუძველზეც განსაზღვრულია საზოგადოებრივი მაუწყებლის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის, სამართლებრივი სტატუსი. ამავე კანონის მე-2 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტში, მაუწყებლის დეფინიციიდან გამომდინარე მაუწყებლობის უფლებამოსილების განხორციელების უფლება გააჩნიათ, როგორც ფიზიკურ, ისე - იურიდიულ პირებს.

საკვანძო სიტყვები: მედიასამართლის სუბიექტები, მედია, სამართლებრივი რეგულაციები.

ძირითადი ტექსტი

დღეს-დღეისობით მსოფლიოში ყველაზე პოპულარული მედია საშუალებას წარმოადგენს ბეჭდური მედია (ჟურნალები, გაზეთები). მისი უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ უფრო დეტალური ხასიათისაა ვიდრე სხვა დანარჩენი მედია საშუალების მიერ მოპოვებული ინფორმაცია.

პრესას თანამედროვე მსოფლიოში მოქმედების ფართო არეალი აქვს, რაც გულისხმობს მაღალ პასუხისმგებლობას და მოვალეობის ვალდებულებას. ყოველივე ეს კი უნდა გამოიხატებოდეს პრესის ობიექტურობასა და დამოუკიდებლობაში.

ტელე და რადიო მაუწყებლობის სამართლებრივი ურთიერთობების განსაზღვრა, უპირველეს ყოვლისა ხდება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. თუმცა არსებობს მთელი რიგი ნორმები, რომლებიც არეგულირებს მაუწყებლობის სამართლებრივ ურთიერთობებს, კერძოდ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ და „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონის, საარჩევნო კოდექსი და სხვა.

მაუწყებლობის თაობაზე საქართველოს მომწესრიგებელი კანონმდებლობა გვხვდება უმეტესად „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში. მაუწყებლობის სფეროში მარეგულირებელი საჯარო დაწესებულებაა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. მას აკისრია ვალდებულება, გააკონტროლოს და სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქციოს თითოეული მაუწყებლის მიერ განხორციელებული საქმიანობა. მისი სამართლებრივი სტატუსი მოწესრიგებულია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში. ამავე კანონით მოწესრიგებულია მაუწყებელთა დიფერენციაცია სხვადასხვა ტიპის მაუწყებლად[1].

საზოგადოებრივი მაუწყებელი სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი მაუწყებელია, რომელიც დამოუკიდებელია და უწყებრივად არ არის დაქვემდებარებული სახელმწიფო ორგანოსთან. საოგადოებრივი მაუწყებლის მმართველი არ შეიძლება იყოს:[2]

- სხვა ადმინისტრაციული ორგანოს წევრი;
- პოლიტიკური პარტიის წევრი;
- სხვა მაუწყებლისთვის ანაზღაურებადი საქმიანობის განმახორციელებელი პირი;
- აქციების ან წილის მფლობელი სხვა მაუწყებელში ან იმ საწარმოში, რომელიც ტელერადიოპროდუქციის წარმოებას ან/და მიწოდებას ახორციელებს;

[1] მაუწყებლობის სახეების თაობაზე დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ჯორბენაძე ს. ბახტაძე უ. მაჭარაძე ზ. „მედიასამართალი“ 49-68 გვ.

[2] იხ. „მაუწყებლობის შესახებ საქართელოს კანონის“ 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

- იმ მაუწყებლის ან პირის თანამდებობის პირი, წარმომადგენელი, რწმუნებული ან კონსულტანტი, რომელიც ტელერადიო-პროდუქციის წარმოებას ან/და მიწოდებას ახორციელებს;
- სხვა მაუწყებლის ან იმ პირის მიმართ ეკონომიკური ინტერესის მქონე პირი, რომელიც ტელერადიო პროდუქციის წარმოებას ან/და მიწოდებას ახორციელებს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის კანონიერი ფუნქციონირებისათვის გამოიყენება იმპერატიული ნორმები, რომლის საფუძველზეც საზოგადოებრივმა მაუწყებელმა არ უნდა დაუშვას კონკრეტული პოლიტიკური ძალის ან კომერციული ორგანიზაციების წინასწარ განზრახული პროგრამების გაშუქება, ვინაიდან ამით განისაზღვრება ამ უკანასკნელის არსი როგორც პოლიტიკური ან კომერციული ზეგავლენისაგან თავისუფალი მედიასაშუალება. მისი ძირითადი კრიტერიუმებია ინფორმაციების ობიექტურად გაშუქება და ფინანსურად არ უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ რეკლამასა და სპონსორობაზე. თუ ერთ-ერთი მათგანი მაინც არ იქნა საზოგადოებრივი მაუწყებლის შემთხვევაში სახეზე, მისი საქმიანობა კერძო მაუწყებლობის საქმიანობას დაემსგავსება და იგი ე.წ „განსაკუთრებულ სტატუსს“ დაკარგავს.

მაუწყებელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა კერძო მაუწყებელი. კერო მაუწყებელი მაუწყებელთა შორის ერთადერთია, რომელსაც სამუშაოს განხორციელება მოგების მიზნით შეუძლია. კერძო მაუწყებლის მიერ საქმიანობის განხორციელება შესაბამისი სამართლებრივი წინაპირობების დაცვას მოითხოვს, კერძოდ ავტორიზაციის გავლა ან/და ლიცენზიის მინიჭება. კერძო მაუწყებლის საქმიანობა ორიენტირებულია მოგებაზე და მათ არ გააჩნიათ ისეთი შეზღუდვები, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის შემთხვევაშია კანონით გათვალისწინებული.[1]

ინტერნეტის სამართლებრივი მოწესრიგება საქართველოს კანონმდებლობით ერთი კონკრეტული კანონის საფუძველზე არ ხორციელდება. მასში გავრცელებულ სამართლებრივ ურთიერთობაზე ვრცელდება კონკრეტულ სფეროში მოქმედი სამართლებრივი ნორმები. ეს შეიძლება იყოს როგორც სისხლის სამართლებრივი (მუქარა), ასევე სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა (ცილისწამება).

სოციალური ქსელის მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტიც, რომ მას დღეს აქტიურად იყენებენ თანამდებობის პირებიც. მაგალითად ამერიკის შეერთბული შტატების პრეზიდენტის დონალდ ტრამპის გამოთქმული მოსაზრებანი ხშირად საინფორმაციო საშუალებებში, სოციალურ ქსელზე დაყრდნობით ვრცელდება. სოციალური ქსელი ზოგიერთ შემთხვევაში ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს, სადაც პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის ხილვის გარდა, შესაძლებელია პირმა სახელმწიფოებრივ დონეზე მიმდინარე საკითხების შესახებ მიიღოს ინფორმაცია, თუმცა სოციალური ქსელში სხვისი პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის უკანონოდ გავრცელება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის დასჯადი ქმედება და ითვალისწინებს სასჯელს.[2]

კიდევ უფრო პრობლემური საკითხი, რომელიც სოციალურ მედიაში პირის პასუხისმგებლობას საერთაშორისო ხასიათს ანიჭებს, მაგალითად, საქართველოს მოქალაქის მიერ სოციალურ ქსელ Twitter-ის, მისსავე პირად კედელზე გასაჯაროებულ იქნა ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც ამერიკის მოქალაქეს შეეხება. ამ უკანასკნელმა ჩათვალა, რომ ინფორმაციის გასაჯაროებით მას მიადგა გარკვეული ზიანი, კერძოდ შეელახა საქმიანი რეპუტაცია.

ინტერნეტ სივრცეში ადამიანის უფლებათა დაცვა და შესაბამისი მოწესრიგების გათვალისწინება თანამედროვე ეპოქის უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ მიზნად უნდა იქნეს განხილული.

Facebook-ი წარმოადგენს პირადი ინფორმაციის გამოაშკარავების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ საშუალებას, რომელზეც პასუხისმგელობა არა ხელისუფლებას, არამედ აღნიშნული სოციალური ქსელის წარმომადგენლებს ეკისრებათ. ინტერნეტის საშუალებით ჩადენილი დანაშაულების შედეგია ისეთი ტერმინის გაჩენა, როგორიცაა, მაგალითად, კიბერტერორიზმი. დანაშაულის ერთ-ერთ სახედ მისი განსაზღვრა მედია სივრცეში სწორედ ადამიანთა მიერ ინტერნეტისადმი დამოკიდებულის

[1] შეზღუდვების თაობაზე დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი.

[2] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლი.

შედეგს წარმოადგენს. სამწუხაროდ ტექნიკურ პროგრესთან ერთად უახლესი ინტერნეტ საშუალებების საფუძველზე შესაბამისი სამართლებრივი პრაქტიკა არც თუ ისე სრულყოფილია. ამ მხრივ, მოსაწესრიგებელია სოციალური მედიის მოქმედების საკითხიც. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა სოციალურ ქსელის როლზე თანამედროვე მსოფლიოში. ეს ერთ-ერთი იშვიათი შემთხვევაა ქართულ მედიასამართალში, როდესაც სასამართლომ სოციალურ ქსელზე საკუთარი პოზიცია დააფიქსირა.[1]

მედია სამართლის სუბიექტი არ შეიძლება იყოს მხოლოდ მედია საშუალება. ასეთი სახის სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მეორე მხარეს შესაძლებელია, ასევე, წარმოადგენდეს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი ან სახელმწიფო.

ფიზიკური პირზე როგორც მედიასამართლის სუბიექტზე საუბრისას მსჯელობა შესაძლებელია რამდენიმე ასპექტში იქნეს წარმართული: ა) მოსახლეობა, როგორც ინფორმაციის მიმღები ან მედია სივრცის ურთიერთობაში მონაწილე; ბ) ჟურნალისტი ან სხვა პირი, რომელიც წარმოადგენს მედია საშუალებას. ფიზიკური პირი არის ინფორმაციის მიმღები ან მედია სივრცის ურთიერთობის მონაწილე. ასეთი პირი შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც ეცნობა მედია საშუალების მიერ გადაცემულ ინფორმაციას ან მონაწილეობს ინფორმაციის გაშუქებაში.

მედიასამართლის მეორე სუბიექტი შეიძლება იყოს ჟურნალისტი ან სხვა პირი, რომელიც წარმოადგენს მედია საშუალებას. ჟურნალისტი მასობრივი ინფრასტრუქტურის მთავარი სუბიექტია, რომელიც აგროვებს, ამუშავებს და ავრცელებს კონკრეტული სახის ინფორმაციას. ჟურნალისტის, როგორც მედიასამართლის სუბიექტის, უმთავრესი ვალდებულებაა ობიექტურობის დაცვა და ინფორმაციაზე მუშაობისას მიკერძოებისგან თავის შეკავება. ამ მხრივ, მის ერთ-ერთ უმთავრეს ვალდებულებას მოპოვებული ინფორმაციის გადამოწმება წარმოადგენს. სწორედ გადამოწმების საფუძველზე შეუძლია მას, შეაჯეროს მიღებული ინფორმაციები და გამოიტანოს გარკვეული დასკვნები, მოახდინოს ანალიზი კონკრეტულ საკითხთან მიმართებით და გარკვეულ შემთხვევაში, გააკრიტიკოს პოლიტიკური პარტია ან ხელისუფლება. აღნიშნულის უფლება ჟურნალისტს გააცნია მისივე პროფესიიდან გამომდინარე. მან კრიტიკა შეიძლება პოლიტიკური პროტესტის საფუძველზეც გამოხატოს, რაც სახელისუფლებო ორგანოს წევრის უფლების შემლახველი ქმედება არ გახდება.

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლი ძირითადი უფლებების თაობაზე თავისი შინაარსის გათვალისწინებით, იურიდიულ პირებზეც ვრცელდება. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია აღვნიშნოთ, რომ იურიდიული პირი, გარკვეული სპეციფიკის გათვალისწინებით ისევე გამოდის სამართლებრივ ურთიერთობაში, როგორც ფიზიკური პირი და მასზე ანალოგიური დაცვის საშუალება ვრცელდება.[2] იურიდიული პირის გათანაბრება ფიზიკურ პირთან შესაძლებელია მხოლოდ იმ ასპექტში, რომლის საფუძველზეც კონკრეტული უფლება თვისებრივად ადამიანს უკავშირდება. აღნიშნული სახის კონსტიტუციური დათქმა მხოლოდ რამდენიმე ძირითადი უფლების სუბიექტურად აქცევს იურიდიულ პირს.

სახელმწიფო მედიასამართლებრივ ურთიერთობაში მედია საშუალებასთან ერთად ყველაზე ხშირად მონაწილეობს. აღნიშნულის დასტურად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი, რომლის საფუძველზეც, საჯარო დაწესებულებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას მედია საშუალებები ხშირად ასაჯაროებენ.

ტერმინი - სახელმწიფო - შესაძლებელია მოვიაზროთ საჯარო დაწესებულებები (ადმინისტრაციული ორგანოები) და პირები, რომელიც მათ წარმოადგენენ. სახელმწიფოს ყოველთვის წარმოადგენს ფიზიკური პირი, რომელიც შესაძლებელია იყოს თანამდებობის პირი,[3] ან საჯარო დაწესებულების წარმომადგენელი.

[1] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის №ას-1559-1462-2012 განჩინება.

[2] იხ. ბურდული ი., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, GIZ, Deutsche Zusammenarbeit, კონსტიტუციონალიზმის ცენტრი, გამომცემლობა შპს „პეტიტი“ თბილისი, 2013, 56-ე მუხლი, 599.

[3] იხ. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი.

მაგალითად საჯარო დაწესებულების პრესსამსახურის უფროსი. მედიაში ნებისმიერი განცხადების გავრცელებისას სახელმწიფო ხდება მედია სამართლის სუბიექტი. აღნიშნულში მოიაზრება საჯარო სამართლის თითოეული იურიდიული პირი, ასევე, სამინისტრო, დეპარტამენტი, სამმართველო თუ სხვ.

დასკვნა

ქართული მედიაში ფუნქციონირებს მედია საშუალების ოთხი ძირითადი სახე: ბეჭდური მედია, რადიომაუწყებლობა, ტელემაუწყებლობა და ინტერნეტმედია. მათგან ყველაზე რთული არის მედიისსამართლებრივ ჩარჩოებში ჩასმა და მოწესრიგება. იმისათვის რომ, მედიასაშუალებების მიერ მოხდეს ობიექტური ინფორმაციის მედიასამართლის სუბიექტებამდე მიტანა და ცილისწამების არიდება, ამისათვის აუცილებელია კანონის გამკაცრება და გაწერა. რათქმაუნდა ეს ყველაფერი უნდა იყოს კონსტიტუციის ჩარჩოებში და არა მისგან გასული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სერგი ჯორბენაძე, უშანგი ბახტაძე, ზურაბ მაჭარაძე. მედია სამართალი სერგი ჯორბენაძეს საერთო რედაქციით, თბილისი, 2014 წელი.
2. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი.
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.
5. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 1 დეკემბრის №20 დადგენილება.
6. ბურდული ი., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, GIZ, Deutsche Zusammenarbeit, კონსტიტუციონალიზმის ცენტრი, გამომცემლობა შპს „პეტიტი“ თბილისი, 2013.
7. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს.
8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 იანვრის №ას-1559-1462-2015 განჩინება.

Media regulations and legal aspects

Zaza Tsotniashvili, associate professor
Georgian Technical University

Levan Kokoshvili. PhD student
Georgian Technical University

Summary

The subjects of media law can be divided into two main groups: media outlets, which are the main subject of media law, and persons who are not media outlets, but through which they make public statements, publish specific types of data, and so on. This reasoning, first of all, stems from the reservation in the Law of Georgia on Broadcasting, on the basis of which the legal status of the Public Broadcaster as a legal entity under public law is determined. According to Article 2, sub-paragraph "t" of the same law, according to the definition of a broadcaster, both natural and legal persons have the right to exercise their broadcasting authority.

Keywords: media law subjects, media, legal regulations.